



**ანგარიში მხარჯავი დაწესებულების პროგრამების და
ქვეპროგრამების შესახებ (იანვარი - დეკემბერი, 2018)**

სსიპ საფინანსო ანალიტიკური სამსახური, 2304

(მხარჯავი დაწესებულების დასახელება, პროგრამული კოდი)

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:
მაკროეკონომიკური სტაბილურობა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება

1.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი:

ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა, 2304

პროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ საფინანსო ანალიტიკური სამსახური, 204577813

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	%სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
2304	პროგრამა: ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა	7900.0	7746.8	7581.6	97.87	1748.3

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:





eBudget - ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემა

გაფართოვდა რეპორტირების ფუნქციონალი. კონსოლიდაციის მოდული გადაიწერა ახალ ტექნოლოგიაზე. დასრულდა eDMS სისტემასთან ინტეგრაციის, ცვლილების ცნობების სავალიდაციო სქემის გაფართოებისა და სხვა ამოცანები.

eTreasury - სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა

სისტემას დაემატა 10-მეტი ახალი მოდული (არასახელფასო დაკავება, დაგროვებითი საპენსიო სქემა, ფულის მართვის მოდული და სხვ.). დასრულდა 8 მსხვილი ამოცანა (მენიუს მართვა, პირველადი დოკუმენტების ჩატვირთვის და დამუშავების ლოგიკა, მწვანე დერეფნის ფუნქციონალი და სხვ.).

eDMS – სახელმწიფო ვალისა და საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემა

მოხდა DMNAT-ის მონაცემთა ბაზის სრული მიგრაცია. შემუშავდა eTreasury სისტემასთან დაკავშირებული ახალი სერვისები (პირველადი დოკუმენტების გენერირება, ინვოისების ავტომატური შექმნა, გაგზავნა და სხვ.). ჩატარდა პროექტების, საინვესტიციო ხაზების და კომპონენტების სტრუქტურის რეფაქტორინგი. დასრულდა ავტომატური მიმოცვლის სერვისები eBudget სისტემასთან. დასრულდა სერვისების ცვლილებების ამოცანა eTreasury სისტემასთან.

eHRMS - ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემა

სისტემას დაემატა თანამშრომლის პორტალი (Self-Service). დაინერგა SMS ავტორიზაციის მეთოდი. შემუშავდა 10-მდე მსხვილი ფუნქციონალური მოდული (პროფესიული საჯარო მოხელეების კლასები, ორგანიზაციების გაუქმება, თანამშრომელთა შეფასების ჯამური ასახვა და სხვ.).

eDocument საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა სისტემის 5 მსხვილმასშტაბიანი განახლება (შტამპი, კომუნიკატორი, დავალების ვიზარდი, დოკ.-ები ვებ-სივრცეში, ვიზარდების მოდიფიკაცია, კონტროლზე აყვანის/მოხსნის ოპტიმიზაცია, სამახსოვრო ბარათი, წაშლილი ფაილების გასუფთავება და სხვ.) შემუშავდა და გაეშვა 10-ზე მეტი ჰოტფიქსი. ელექტრონულ შტამპთან დაკავშირებული კონსულტაცია (ინფორმირება, რეგისტრაცია, ინსტალაცია, მხარდაჭერა) გაეწია 100-მდე კლიენტ ორგანიზაციას.

eAuction ელექტრონული აუქციონი

სისტემას დაემატა 35-მდე ახალი ფუნქცია (პირგასამტეხლოს ავტომატური დათვლა, ლოგირება და სხვ.) და ანგარიშების სხვადასხვა ფორმა. სისტემის მობილური აპლიკაციას დაემატა ხუთი ახალი ფუნქცია (გაყიდე ქონება, ანგარიშის ნომრის დამატება, ლოტების სია, პროფილის დათვალიერება, რედაქტირება).

რეალურ და/ან სატესტო გარემოში განთავსდა სისტემის 18-მდე კომპონენტი. განხორციელდა მომსახურების სააგენტოს ადმინისტრაციული რესურსების მართვის სისტემასთან (ERP) ინტეგრაცია და GeorgianCard-ის გადახდის სერვისის ძირეული ცვლილება.

EIMS - გარემოსდაცვითი ინფორმაციის მართვის სისტემა

სისტემა დაიყო ხუთ პროექტად:



eTRMMS - მერქნული რესურსების მართვისა და მონიტორინგის სისტემა

- შემუშავდა და განხორციელდა ტყეკაფის პირველადი აღრიცხვის ავტომატური კალკულაციები;
- შემუშავდა და განხორციელდა ხე-ტყის დამზადების ბილეთების ახალი კალენდარული ვადების ფუნქციონალი;
- ახალ ტექნოლოგიაზე გადაიწერა:
 - ✓ ტყეკაფების მოდულის, ტყის რესურსის, ხე-ტყის მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების მოდული;
 - ✓ სისტემის ადმინისტრირების 57 მოდული.
- მიმდინარეობს კვლევა ტყის ინვენტარიზაციის და 10 წლიანი მართვის გეგმის სისტემის შესამუშავებლად;
- მიმდინარეობს ანალიტიკური სამუშაოები ხე-ტყის ელექტრონული წარმოშობის დოკუმენტის აპლიკაციის შექმნისათვის.

eSMMS - სახერხი საამქროების მართვისა და მონიტორინგის სისტემა

- შემუშავდა ხე-ტყის ზედნადების გამოწერა სერვისის საშუალებით გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და მართვის სისტემის საფუძველზე. სერვისი რეალურ რეჟიმში განახლებულია;
- შემუშავდა და განხორციელდა სახერხი საამქროს ჟურნალის მართვის ახალ ტექნოლოგიაზე გადაწერა;
- მიმდინარეობს კვლევა - ანალიტიკა პირველადი გადამუშავების მრგვალი მორის მოძრაობის ტრანსპორტირების მოდულის შემუშავების დასადგენად.

eAir - სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების აღრიცხვისა და მონიტორინგის სისტემა

- 3561-მა ობიექტმა წარმოადგინა სტაციონალური წყაროებიდან მავნე ნივთიერებების გაფრქვევის ანგარიშგება.

eFisher - თევზჭერის მართვისა და მონიტორინგის სისტემა

- შემუშავდა და განხორციელდა თევზჭერის სარეწაო მართვის ჟურნალის back სისტემის მოდული;
- შემუშავდა და განხორციელდა თევზჭერის ლიცენზიანტების და გემების მიხედვით ერთიანი ანგარიშგების მიღება.
- შემუშავდა და განხორციელდა თევზჭერის ჟურნალში ახალ ვადებში ზუსტი წონის წარმოდენა.

eWater - წყალსარგებლობის სახელმწიფო აღრიცხვის სისტემა

- წლიური ანგარიშგება წარადგინა 85-მა ობიექტმა.

eGMC - საქართველოს მუზეუმების კოლექციების საინფორმაციო სისტემა





- შემუშავდა და განხორციელდა სისტემაში ექსპონატების ძეგლის გამარტივებული ძეგლის ფუნქციონალი;
- დარეგისტრირდა 20664 ექსპონატი ფონდებისა და კოლექციების მიხედვით;
- სისტემა დაინერგა 27 მუზეუმში (98 მომხმარებელი).
- ჩატარდა სისტემის რეფაქტორინგი ფაილების შენახვის ახალ მეთოდის შემუშავების კუთხით.

eVMS - ვიზიტორთა მართვის ელექტრონული სისტემა

შეიცვალა ორგანიზაციების ასახვის და მათ ჭრილში არსებული ინფორმაციების ხედვის ლოგიკა. დაემატა საჯარო რეესტრიდან საჭირო მონაცემების წამოღების მართვის ფუნქციონალი და ახალი მომხმარებლის დასამატებელი ფორმა.

eAIMS - საერთაშორისო დახმარებების მართვის სისტემა

სისტემის გაუმჯობესების მიზნით შეიქმნა სისტემის მოთხოვნილებების დოკუმენტი, დაგეგმილია სისტემის განახლება და გაუმჯობესება სიტემას დაემატება:

- SDG და საქართველოს სტრატეგიული გეგმის კლასიფიკატორები
- ანგარიშები Dashboard და ინფოგრაფიკები
- GIS რუკა
- სიახლეების დამატების ფუნქციონალი
- კალენდარზე აქტივობების დამატების ფუნქციონალი
- სოციალურ ქსელებში ინფორმაციის გაზიარების ფუნქციონალი და სხვა.

eVIMS - ავტომანქანების ხარჯების აღრიცხვისა და კონტროლის სისტემა

აღრიცხულია 908 ავტომანქანა. 2018 წლის საანგარიშო პერიოდში, სისტემას დაემატა 5 817 ავტომანქანებზე შესრულებული სამუშაოს აქტი.

დაემატა შემდეგი მოდულები:

- საწვავის, პარკირების, შსს მომსახურების, ტექნიკური დათვალიერების ხარჯების აღრიცხვის და შეტყობინებების მოდული
- დაემატა ავტომანქანების კუთვნილების ფუნქციონალი - კუთვნილების მართვა, ისტორიის ნახვა
- მხარდაჭერილია სისტემის ფუნქციონალი, დაემატა და გაუმჯობესდა სისტემაში სხვადასხვა ფორმები.
- გაუმჯობესდა შეტყობინებების მოდული, რომელიც მოიცავდა შეტყობინების შექმნის/კონფიგურაციის ფუნქციონალისა და შეტყობინებების ადმინისტრირების შესაძლებლობას self-service, რომელიც საშუალებას იძლევა მენეჯერებს სისტემაში მათთვის საინტერესო ხარჯებზე თავად დაამატონ შეტყობინებები, ჩაურთონ სისტემის მომხმარებლებს სასურველი შეტყობინებები, რომელიც შესაძლებლობას იძლევა მოკლე დროში, დროულად მიიღონ გადაწყვეტილებები და უფრო ეფექტურად შეასრულონ სამუშაო.

მიმდინარეობს სისტემის ფუნქციონალის მხარდაჭერა და გაუმჯობესება.





ვებგვერდი, პორტალი

აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების რეგისტრაციისა და ადმინისტრირების სისტემა
ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის პორტალისათვის -
<https://saras.gov.ge/app> <https://saras.gov.ge/company> <https://saras.gov.ge/admin>

აუდიტორების და აუდიტორული ფირმების ადმინისტრირების სისტემას დაემატა შემდეგი მოდულები/ფუნქციონალი:

- დაზღვევის მოდული.
- ორგანიზაციების მართვაში ორგანიზაციის მონაცემების რედაქტირებისა და წაშლის ფუნქცია.
- ახალი რეპორტები.

ვებგვერდის ადმინისტრირების პანელს დაემატა გამოკითხვების მართვის და სიახლეების გამოწერის მოდულები. განახლდა აუდიტორების და აუდიტორული ფირმების დეტალური ინფორმაციის გვერდი.

აღრიცხვა-აუდიტის ტერმინოლოგიის ვებგვერდი, შეფასების და ადმინისტრირების სისტემა

<http://translate.dev.fas.ge/> <http://admin.translate.dev.fas.ge>

ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის პორტალს დაემატება აღრიცხვა-აუდიტის ტერმინოლოგიის ვებგვერდი, რომლის საშუალებითაც ნებისმიერი დაინტერესებული პირი შეძლებს მოიძიოს აღრიცხვა-აუდიტის ტერმინოლოგია, მათი ქართულ-ინგლისური მნიშვნელობები, განმარტებები და კონტექსტები სტანდარტებიდან. ასევე შესაძლებელი იქნება ახალი (ლექსიკონში არარსებული) ტერმინების შეთავაზება მომხმარებლების მიერ. ტერმინები განხილულ იქნება შესაბამისი კომისიის მიერ შეფასების სისტემის საშუალებით. შეიქმნა პროგრამული უზრუნველყოფა, ჩატარდა ტესტირება.

ანგარიშგების პორტალი - <https://reportal.ge>

ჩატარდა ანალიტიკური სამუშაოები ანგარიშგების პორტალის ახალი ვერსიის შესაქმნელად, სადაც შესაძლებელი იქნება როგორც I და II კატეგორიის, ასევე III და IV კატეგორიის საწარმოების მიერ ანგარიშგების წარდგენა/მოძიება. მიმდინარეობს ანგარიშგებების ასატვირთი ვებგვერდის შექმნა.

განათლების საერთაშორისო ცენტრის აპლიკანტთა რეგისტრაციის სისტემა - <http://admin.iec.gov.ge/>

სისტემას დაემატა ქულების მართვის და შედეგის ჩანართის ავტომატურად გენერაციის მოდული. თითოეული პროგრამისათვის გამსვლელი და სარეზერვო ქულების დაფიქსირება შესაძლებელია სწავლის მიმართულებების ან საფეხურის მიხედვით. შედეგის გვერდის გენერაცია ხდება კონკურსის ეტაპების მიხედვით და ამ გვერდზე აისახება შეფასების სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით აპლიკანტის მიერ მიღებული ქულები.

2018 წლის განმავლობაში სისტემის საშუალებით განხორციელდა 8 საკონკურსო პროგრამა.

განათლების საერთაშორისო ცენტრის ვებგვერდი





შეიქმნა განათლების საერთაშორისო ცენტრის ვებგვერდის ახალი დიზაინი. CMS-ში აიწყო ვებგვერდის მთავარი გვერდი და შიდა გვერდების ნაწილი. შეიქმნა მთავარ გვერდზე კონკურსების დასრულების ინდიკატორის მართვის სისტემა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაცვლითი პროგრამების აპლიკანტთა რეგისტრაციის და შეფასების სისტემა

<https://mobility.tsu.ge> <https://mobility-ap.tsu.ge> <https://mobility-eval.tsu.ge>

შეიქმნა შემდეგი მოდულები:

1. აპლიკანტების რეგისტრაციის უნივერსალური მოდული (შესაძლებელია განსხვავებული შინაარსის მქონე საკონკურსო პროგრამებზე რეგისტრაცია);
2. ადმინისტრირების პანელი ყველა ტიპის საკონკურსო პროგრამის მართვისთვის;
3. შეფასების მოდული (საკონკურსო განაცხადები ფასდება ეტაპების მიხედვით).

ამ მომენტისათვის სისტემის ფარგლებში უკვე 14 კონკურსი, ჯამში დარეგისტრირდა 1000 -ზე მეტი სტუდენტი/თსუ პერსონალი.

საქართველოს კულტურის და სპორტის პოლიტიკის ვებგვერდი - <http://www.cultureandsports.gov.ge/>
ორი სამინისტროს გაერთიანების შემდეგ განახლდა საქართველოს კულტურის პოლიტიკის ვებგვერდი. შეიცვალა მენიუ და კონტენტი, დაემატა სპორტთან დაკავშირებული ნაწილი.

ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველოს საპატიო სტუმარი ქვეყნის ოფიციალური ვებგვერდი - <http://georgia-characters.com/>

შეიქმნა ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველოს საპატიო სტუმარი ქვეყნის ოფიციალური ვებგვერდი.

საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის ვებგვერდი - <http://ggtc.ge/>

შეიქმნა გაზის ტრანსპორტირების კომპანიის ვებგვერდი. განხორციელდა ძველი ვებგვერდის კონტენტის იმპორტი ახალ ვებგვერდზე.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ვებგვერდი - <http://dev.mof.ge/Academy>

მზა დიზაინის მიხედვით აიწყო CMS -ში ვებგვერდის სატესტო ვერსია. ვებგვერდს გააჩნია ვებგვერდზე რეგისტრაციისა და რეგისტრირებული მომხმარებლის კურსზე რეგისტრაციის ფუნქციონალი. მიმდინარეობს შიდა გვერდებზე მუშაობა.

პრობლემური სესხების განულების მონაცემების გადასამოწმებელი ვებგვერდი - <https://vali.ge/>

ვებგვერდის მონაცემთა ბაზაში ამ მომენტისათვის რეგისტრირებულია 51 საფინანსო ორგანიზაციიდან შექმნილი 1,360,991 სესხი/კრედიტი. მსესხებლების რაოდენობა შეადგენს 609,542-ს, ხოლო ჯამური დავალიანების თანხა 4,027,099,783-ს.

გარდა ამისა, ჩატარდა შემდეგი სამუშაოები:

go.mof.ge დიზაინი, მარკაპი

emoe.gov.ge მარკაპი





eAuction	მარკაპი
eHRMS	დიზაინი
eDoc	დიზაინი

სწავლება და კონსულტაცია

ჩატარდა შემდეგი ტრენინგების, სემინარების და კონსულტაციების ციკლი:

საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა (eDocument) - 42 ორგანიზაცია, 1181 მომხმარებელი; ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემა (eHRMS) - 19 ორგანიზაცია, 74 მომხმარებელი; სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა (eTreasury) - 393 მომხმარებელი.

სულ - **1648** მომხმარებელი.

ცხელი ხაზი 1551-ით სარგებლობა:

მომართვათა საერთო რაოდენობა - **69451**

გაწეულია 65811 სატელეფონო ან online კონსულტაცია, მ.შ.: eDocument - 30411, eTreasury - 33880, eHRMS - 801, სხვა სისტემები - 719.

ტექნიკური მხარდაჭერის ჯგუფი მოემსახურა 3640 ტექნიკური გამოძახებას და გასწია შესაბამისი მომსახურება.

ასევე, განხორციელდა eDocument სისტემის ძირეული განახლება 299 ორგანიზაციაში 23746 მომხმარებლისთვის.

ფინანსთა სამინისტროს ICT ინფრასტრუქტურის მდგრადობის უზრუნველყოფა

ვებპლიკაციების უსაფრთხოების ზრდის მიზნით, ჩატარდა სოფტვეარული ბალანსერის ინსტალაცია და მისი Reverse Proxy რეჟიმში გადაყვანა. გაიზარდა PFMS სისტემის მონაცემთა შენახვის სივრცე და ბაზების წარმადობის ოპტიმიზაცია. მოხდა მონაცემთა ბაზების Always On მოდელის დანერგვა, რამაც გააუმჯობესა რეპორტების გენერირების სიჩქარე. დაიწყო ელექტრონული ფოსტის კორპორაციული სისტემის ახალ ვერსიაზე მიგრაცია. მოხდა კორპორაციული ელექტრონული სერტიფიკატების ჰეშირების ალგორითმის 256 ბიტზე გადაყვანა, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა სისტემების უსაფრთხოება. გაფართოვდა სარეზერვო კოპირების სისტემა დედუპლიცირებული სისტემისთვის ახალი მოდულის დამატებით. დაიწყო ვებპლიკაციების დამცავი მოწყობილობის ტესტირება ვებსაიტების უსაფრთხოების გასამძლიერებლად. ჩატარდა შემოსავლების სამსახურის სისტემების განახლება და მონაცემთა ბაზის მიგრაცია. განახლდა და მნიშვნელოვნად გაძლიერდა როგორც სერვერული და მონაცემთა შენახვის სისტემები, ისე პროგრამული უზრუნველყოფა. შემუშავდა და დაინერგა ცვლილებების, პრობლემების და ინციდენტების მართვის სისტემის ავტომატიზებული შაბლონები. მიღწეული იქნა საბანკო გადარიცხვების სისტემის თავსებადობა ახალი ვერსიის მონაცემთა ბაზასთან. განხორციელდა დაცული ქსელური არხების მარშრუტიზატორების ბალანსირება.





ადამიანური რესურსების განვითარება

საანგარიშო პერიოდში საშტატო თანამდებობაზე დაინიშნა 13 პირი, ხოლო შრომითი ხელშეკრულებით დაინიშნა 23 პირი.

საზოგადოებასთან ურთიერთობა

მიმდინარეობდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მონიტორინგი ქვეყანაში IT სფეროში მნიშვნელოვანი ამბებისა და სიახლეების გამოვლენის მიზნით. მომზადდა და საინფორმაციო საშუალებებში გავრცელდა ინფორმაცია სამსახურის მიერ შემუშავებული ელექტრონული სისტემის ორი ახალი კომპონენტის შესახებ. სოციალურ ქსელში (Facebook) განთავსდა ინფორმაცია სამსახურის პროდუქტების შესახებ. გაიმართა კორპორაციული გასართობ-სპორტული ღონისძიება სამსახურის თანამშრომლებისთვის. სამსახურმა მონაწილეობა მიიღო თსუ-ს მიერ გამართულ დასაქმების ფორუმში.

მიღწეული საბოლოო შედეგები: საჯარო ფინანსების მართვის სისტემის (PFMS) დანერგვის შემდგომი პროცესები უზრუნველყოფილია და შესაბამისობაშია გეგმასთან; უზრუნველყოფილია ფინანსთა სამინისტროს ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის საჭირო კონსოლიდირებული და ინტეგრირებული საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის შექმნა; უზრუნველყოფილია საინფორმაციო ტექნოლოგიების ბაზაზე აგებული ფინანსთა სამინისტროს სისტემების ქვეყნის საინფორმაციო-საკომუნიკაციო სივრცეში ინტეგრაცია; განსაზღვრულია მომხმარებელთა სხვადასხვა რესურსზე წვდომის უფლებები, უზრუნველყოფილია კონტროლი და მონიტორინგი; ოპტიმიზებულია სხვადასხვა საკომუნიკაციო სერვისების გამოყენება მომხმარებელთა მიერ; უზრუნველყოფილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ახალი სისტემებისა და ელექტრონული სერვისების, ვებპროდუქტებისა და ვებსერვისების, ელექტრონული მმართველობის კომპონენტების, სხვა ახალი ტექნიკური სისტემების შემუშავება, დანერგვა და განვითარება.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები: თანამშრომელთა პროფესიულ ტრენინგებში მონაწილეობის რაოდენობრივი მაჩვენებელი; ქვეყნის საჯარო ფინანსების მართვის სისტემის (PFMS) ახალი კომპონენტების დანერგვის, უკვე არსებული ქვესისტემების სრულყოფის ფაქტობრივი ვადების და რესურსების ხარჯვის შესაბამისობა დაგეგმილ ვადებთან; რეალიზებული ინფორმაციულ-ანალიტიკური სისტემების და ვებპროდუქტების ფუნქციონალის შესაბამისობა ფინანსთა სამინისტროს სისტემის ან სხვა სამთავრობო უწყებების მოთხოვნების ფუნქციონალურ სპეციფიკაციასთან; ცხელი ხაზის საქმიანობის ამსახველი წლიური სტატისტიკური მაჩვენებლები; საინფორმაციო სისტემებში ხარვეზების რაოდენობის და ავარიული გაჩერებების აღმოფხვრის დროის ჯამური წლიური მაჩვენებელი.

